NATO Parliamentary Assembly
Assemblée parlementaire de l'OTAN

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო
საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013

განცხადება წინასწარ შეფასებებსა და დასკვნებზე

თბილისი, 2013 წლის 28 ოქტომბერი - წინამდებარე განცხადება წინასწარ შეფასებებსა და დასკვნებზე, ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ევროპარლამენტისა (EP) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის (NATO PA) ერთობლივი მუშაობისა და ძალისხმევის შედეგია.

ევროპის მოქმედმა ხელმძღვანელმა საგანგებო კოორდინატორად, რომელიც უხელმძღვანელებს ევროპის მოკლევადიან სადამკვირვებლო მისიას, ჟოაო სოარეში (პორტუგალია) დაასახელა. მერიტქსელ მატეუ პი (ანდორა) ხელმძღვანელობს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, კრჟიშტოფ ლისეკი (პოლონეთი) - ევროპარლამენტის დელეგაციას, მატი რაიდმა (ესტონეთი) - ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, ხოლო ილკა კანერვა (ფინეთი) - ევროპის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას. მატეო მეკაჩი (იტალია) ხელმძღვანელობს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, რომელიც 2013 წლის 19 სექტემბერს გაიხსნა.

შეფასება ხდება იმის მიხედვით, შეესაბამება თუ არა არჩევნები ევროპის ვალდებულებებს, ევროსაბჭოს სტანდარტებს დემოკრატიული არჩევნებისთვის, საქართველოს შიდა კანონმდებლობას და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. წინასწარ შეფასებებსა და დასკვნებზე განცხადება საარჩევნო პროცესის დასრულებამდე კეთდება. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების მიმდინარეობაზე იქნება დამოკიდებული. ამაში იგულისხმება ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურები, შედეგების გამოცხადება და არჩევნების მეორე დღეს შესაძლო განცხადებებისა და საჩივრების განხილვა. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც შესაძლო გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციებიც შევა. ევროპის საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს წარუდგენს მუდმივი კომიტეტს ვენაში, 2014 წლის თებერვალში დაგეგმილ შეხვედრაზე. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თავის ანგარიშს მუმდივმოქმედი კომისიის სხდომაზე ვენაში 22 ნოემბერს წარადგენს. ევროპარლამენტი საგარეო საქმეთა კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს 4 ნოემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა კი საკუთარ ანგარიშს თავის მუდმივ კომიტეტს მომდევნო შეხვედრაზე წარუდგენს.

წინასწარი დასკვნები

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ეფექტურად იმართებოდა და გამჭვირვალე, მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრების ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო და კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი კამპანია თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ჩაეტარებინათ. საარჩევნო კამპანია ძირითადი დარღვევების გარეშე მიმდინარეობა. მოცემულ არჩევნებზე მედია ნაკლებად პოლარიზებული იყო და წარმოადგინა მოსაზრებათა ფართო სპექტრი. არჩევნების დღეს, ამომრჩევლებს ჰქონდათ საშუალება თავისუფლად გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი.

საარჩევნო კანონმდებლობა ყოვლისმომცველია და უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის. არჩევნებამდე, მრავალი ტექნიკური შესწორება და ცვლილება შევიდა საარჩევნო კანონმდებლობაში. მათი უმრავლესობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის რეკომენდაციების გათვალისწინებით იყო მიღებული. თუმცა, საარჩევნო კოდექსის რამოდენიმე დებულება კვლავაც ბუნდოვანია და არ იყო გამოყენებული თანამიმდევრულად.

კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალედ და ყოვლისმომცველად წარიმართა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოცდასამი საპრეზიდენტო კანდიდატი დაარეგისტრირა. 24 კანდიდატს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. ოთხმა კანდიდატმა გაასაჩივრა ცესკო-ს უარი რეგისტრაციაზე, რომელიც ეფუძნებოდა მათ ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს საერთაშორისო პრაქტიკას.

ორგანიზაციები და პირები რომელთანაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა ურთიერთობა, აღნიშნავენ, რომ ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილება და ის აშკარად უფრო მშვიდია. თუმცა, საარჩევნო კამპანიის გარემოზე უარყოფითად იმოქმედა სხვადასხვა ბრალდებებმა, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებზე პოლიტიკურ ძალადობასთან დაკავშირებით. საარჩევნო კამპანია პრემიერ მინისტრსა და პრეზიდენტს შორის პირდაპირი დაპირისპირებიდან, რომელმაც პოლიტიკურ ასპარეზზე გადაფარა პოლიტიკური ასპარეზი, თანდათანობით ძირითად კანდიდატებს შორის შეჯიბრში გადაიზარდა. ამის მიუხედავად, მთელი კამპანიის მსვლელობისას, პერსონიფიცირებული პოლიტიკა საჯარო დებატების დროს კვლავაც დომინირებდა.

ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობდა. მან საარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ამასთნავე, ყველა ჩართულმა მხარემ, ცესკო-ს მაღალი დონის ნდობა გამოუცხადა. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის

ცესკო-ს სხდომები და შეხვედრები ღია იყო. არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ცესკო ატარებდა ღია დისკუსიებს ყველა ჩართულ მხარესა და პარტნიორებთან.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები უმეტესწილად, პრობლემების გარეშე მოემზადნენ არჩევნებისთვის და თავის საქმიანობას კომპეტენტურად ახორციელებდნენ. ამის მიუხედავად, სხვა პროცესის მონაწილე მხარეების მიერ აღინიშნა საუბნო საარჩენო კომისიების ზოგიერთი წევრის არასაკმარისი გამოცდილება. საარჩევნო კომისიებში ექვსი წევრის დანიშვნამ ქართული ოცნების კოალიციის წევრთა მიერ, ხოლო თითო კომისიის წევრის დანიშვნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ, საარჩევნო სუბიექტებში შეშფოთება გამოიწვია. ძირითადი შეშფოთება იყო გამოთქმული იმ ფაქტთან, რომ ქართული ოცნება ზედმეტად არის წარმოდგენილი საარჩევნო უბნებზე.

მთლიანობაში, ამომრჩეველთა სიის სისწორეში ეჭვი არავის შეუტანია. აგვისტოში, ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობა ამოღებულ იქნა ამომრჩეველთა საერთო სიიდან მათ შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის ქონის, ან არასწორი მისამართის მითითების საფუძველზე. ამ ამომრჩეველთა მხოლოდ მცირე რიცხვი დარეგისტრირდა ხელახლა და ამომრჩეველთა საერთო სიაში იქნა შეტანილი.

ამომრჩევლისთვის შეხედულებათა და ინფორმაციის მრავალსახეობა ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა თოქ-შოუებისა და ახალი ამბების მეშვეობი. უფასო საეთერო დროის გამოყენებამ კანდიდატებს საშუალება მისცა წარმოედგინათ საკუთარი პროგრამები და ხედვები ყოვლგვარი შეზღუდვების გარეშე. იმის მიუხედავდ, რომ უფასო საეთერო დრო მხოლოდ რამოდენიმე კვალიფიცირებულ კანდიდატს ჰქონდა, ძირითადი მედია საშუალებები ყველა მთავარი კანდიდატის საარჩევნო კამპანიას აშუქებდნენ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატებს დამოუკიდებელ კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ, რადგან მედია საშუალებები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ძირითადი პოლიტიკური პარტიების საქმიანობას და ნაკლებად აშუქებნენ კანდიდატების კამპანიებს.

მრავალი საჩივარი შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნებთან დაკავშირებით. ასევე, საჩივრები ეხებოდა საჯარო მოხელეების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, მოწინააღმდეგე პარტიების პლაკატების განადგურებას, პარტიების აქტივისტების შევიწროებასა და ამომრჩევლების მოსყიდვას. მოცემულ საჩივართა უმრავლესობა არ იქნა დაკმაყოფილებული. გარდა ამისა, ბევრ შემთხვევაში საჩივრებით მიმართეს უწყებათაშორის კომისიას სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის, იმის ნაცვლად, რომ მიემართათ საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოებისათვის, რომელთაც აქვთ უფლება დააწესონ სანქციები და უზრუნველყონ დავების ეფექტური განხილვა საერთაშორისო ვალდებულებისა და პრაქტიკის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია სათანადო რეაგირება მოახდინოს კამპანიის ფინანსირების წესების დარღვევაზე და დააწესოს სანქციები. თუმცა,

ფაქტობრივი ზედამხედველობა მკვეთრად შეზღუდა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევები არჩევნების დღემდე რეაგირების გარეშე უნდა დარჩენილიყო.

სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ახროციელებდნენ საარჩევნო პროცესის მხარდამჭერ საქმიანობას და არჩევნების მონიტორინგს. დიდი რაოდენობით ადგილობრივ დამკვირვებელთა ჩართულობამ არჩევნების გამჭვირვალობის დონე საგრძნობლად გაზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ სამი ქალი კანდიდატი, ერთმა მათგანმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საარჩევნო კამპანიაში. მთლიანობაში, ქალები კარგად იყვნენ წარმოდგენილნი საარჩევნო ადმინისტრაციაში და შეადგინეს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 56% და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 65%. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი წევრი ქალია, მათ შორის თავმჯდომარეც.

მთლიანობაში არჩევნების დღე პროფესიულად და გამჭვირვალედ ჩატარდა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა უბნების გახსნის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამება დადებითად შეაფასეს. ყველა პროცედურა ძირითადად დაცული იყო და საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღნიშნეს გამჭვირვალობის მაღალი დონე მთელი დღის განმავლობაში. ძირითადი შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო უბნებზე კანონით დაშვებულზე მეტი დამკვირვებელი იმყოფებოდა, რაც უბნების გადატვირთვას იწვევდა და ზოგ შემთხვევაში, დამკვირვებლები საარჩევნო პროცესშიც ერეოდნენ. ცესკომ შედეგების გამოცხადება არჩევნების ღამეს დაიწყო და საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. შედეგები ქვეყნდებოდა უბნებისა და ოლქების მიხედვით რაც დადებითად იქნა შეფასებული, რადგან ასეთი მიდგომა ხელს უწყობს გამჭვირვალობის ზრდას.

წინასწარი შეფასებები

შესავალი

4 ივლისს, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო მოთხოვნების შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად საქართველოს პრეზიდენტმა 27 ოქტომბერი გამოაცხადა. მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შევა ძალაში, მნიშვნელოვნად შეზღუდავს პრეზიდენტის უფლებამოსილებას პრემიერ–მინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ. მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა უკვე განახცადა, რომ ის თანამდებობას 24 ნოემბრამდე დატოვებს. ასეთ პირობებში, კონსტიტუციაში შეტანილი ცვილებების თანახმად, არსებული მთავრობა დათხოვნილ იქნება და ახალი პრეზიდენტი ახალი მთავრობის ფორმირების მიზნით დანიშნავს პრემიერ–მინისტრს, რომლის კანდიდატურასაც საპარლამენტო უმრავლესობა წამოაყენებს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კამპანია მმართველ კოალიციას „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, და

პარტიულ ლიდერებს შორის დაძაბული კოჰაბიტაციის ფონზე მიმდინარეობს. ეს ფონი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამოდენიმე ოფიციალური პირის დაპატიმრებით, მათ შორის პარტიის გენერალური მდივნის, რომელიც საპრეზიდენტო კამპანიის წარმართვის პასუხიმსგებელი პირი და პოტენციური საპრეზიდენტო კანდიდატი იყო, და პარტიის წევრების წინასწარი დაკავებით კიდევ უფრო დამძმდა. უფრო მეტიც, ადგილობრივ დონეებზე მრავალი პოლიტიკური ცვლილება განხორციელდა.

საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო

პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, ხუთწლიანი ვადით. არჩევნების პირველივე ტურში გასამარჯვებლად, კანდიდატმა ნამდვილად მიჩნეული ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა დააგროვოს. სხვა შემთხვევაში, მეორე ტური ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ინიშნება და მასში მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. მათგან არჩეულად ჩაითვლება ის, ვინც მეორე ტურში ხმების უმრავლესობას მიიღებს.

საარჩევნო სამართლებლივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხები კონსტიტუციის, საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით რეგულირდება[1].

საარჩევნო კანონმდებლობა ეუთოს დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი რეკომენდაციების საფუძველზე, 2013 წელს შეიცვალა. პარლამენტმა ცვლილებები კონსენსუსის საფუძველზე მიიღო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების უმრავლესობა გაითვალისწინა[2].

ამა წლის აგვისტოში ამოქმედებული ცვლილებები მოიცავს დამატებით განმარტებებსა და დაცვის მექანიზმებს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად; განსაზღვრავს კამპანიის ჩასატარებლად უფრო თანასწორ პირობებს, მათ შორის, პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ შეუსაბამო თანამდებობის დატოვების მოთხოვნას; საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბების დამატებით წესებს; და კამპანიის დაფინანსების წესში ცვლილებებს.

კამპანიის მსვლელობისას ზოგიერთი საკანონმდებლო დებულება კვლავაც ბუნდოვანი რჩებოდა არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის. ასეთ ბუდნოვან დებულებებს განეკუთვნება საკითხი თუ რამდენად არის დაშვებული საჯარო მოხელეთათვის, რომელთაც ეკრძალებათ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღება და კამპანიის წარმართვა, ამ კამპანიის ღონისძიებებზე დასწრება. მოცემული არჩევნებისთვის

[1] არჩევნებთან დაკავშირებული სხვა კანონები არის: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ და საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

[2] თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო.

აღდგენილმა უწყებათაშორისმა კომისიამ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის, რომელიც არის არასასამართლო ორგანო, რომელიც შედგება მინისტრების მოადგილეებისგან და ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი, გამოსცა არასავალდებულო რეკომენდაცია, სადაც ნათქვამია, რომ პასიური დასწრება კამპანიის ღონისძიებებზე არ არის აკრძალული.

ამასთან ერთად, არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის ბუნდოვანი იყო, თუ რამდენად ქონდა პოლიციელს უფლება დასწრებოდა საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს და რა პირობით. მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ორი ინსტრუქცია, რომელთა მიხედვითაც, პოლიციელებს, სამუშაო საათებში საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე დასწრების უფლება არ აქვთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არიან სამოქალაქო ფორმაში.[3]

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნები იმართება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო); 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისია. ამასთანავე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამხედრო ბაზებზე გაიხსნა 34 სპეციალური საარჩევნო უბანი. 52 საარჩევნო უბანი გაიხსნა საზღვარგარეთ დიპლომატიურ და საკონსულო მისიებში, ქვეყნის გარეთ მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად[4].

ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობს. მან საარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ყველა ჩართულმა მხარემ არჩევნების ადმინისტრირებისადმი ნდობა გამოხატა. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის ცესკო-ს სხდომები და შეხვედრები ღია იყო. არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ცესკო ატარებდა ღია განხილვებს ყველა ჩართულ მხარესთან. ის დროულად აქვეყნებდა სხდომების ოქმებს, ბრძანებებს, განკარგულებებს და საჩივრებს საკუთარ ვებ–გვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ყველა საარჩევნო კომისია 13 წევრისაგან შედგება, რომელთაგან შვიდ წევრს სახელმწიფო დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიები ასახელებენ[5]. ცესკო–ს 5 წევრი ინიშნება პარლამენტის მერ, ცესკო-ს თავმჯდომარის დანიშვნის დამატებითი პროცედურის

---

[3] საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 25, და საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მუხლი 1.2, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს (მათ შორის პოლიციის თანამშრომლებს) არა აქვთ საჯაროდ შეკრების უფლება. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსის მუხლი 45.4 ადგენს, რომ ამ პირებს არა აქვთ უფლება აწარმოონ, ან მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში.

[4] რუსეთის ფედერაციაში საარჩევნო უბნები არ გახსნილა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო.

[5] პარტიები, რომლებიც ღებულობენ ყველაზე მაღალ სახელმწიფო დაფინანსებას არიან: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები; და პოლიტიკური მოძრაობები - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ეროვნული ფორუმი“.

ჩათვლით. საოლქო და საუბნო კომისიების დარჩენილი ექვსი წევრი ინიშნება ზემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო კონკურსის საფუძველზე.

საოლქო და საუბნო კომისიები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და საარჩევნო მზადება მნიშვნელოვანი დაბრკოლებების გარეშე წარმართეს. თუმცა, საუბნო საარჩენო კომისიების ზოგიერთი წევრის არასაკმარისი გამოცდილება აშკარა გახდა სხვა ჩართული მხარეებისთვისაც.

ყველა დონის საარჩევნო კომისიებში ექვსი წევრის დანიშვნამ ქართული ოცნების კოალიციის წევრთა მიერ, ხოლო თითო კომისიის წევრის დანიშვნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ, საარჩევნო სუბიექტებში შეშფოთება გამოიწვია. ძირითადი შეშფოთება იყო გამოთქმული იმ ფაქტთან, რომ ქართული ოცნება ზედმეტად არის წარმოდგენილი საარჩევნო უბნებზე.[6] საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მდივნის თანამდებობები კანონმდებლობაზე დაყრდნობით იქნა გადანაწილებული. 2,751 საუბნო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავეს პირებმა, რომლებიც დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ[7]. თუმცა, იმ უბნებზე, სადაც თავმჯდომარეები აირჩიეს პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი პირებიდან, შედეგები იყო ქართული ოცნების სასარგებლოდ. იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის თანამდებობებთან დაკავშირებითაც.[8]

ცესკოს ოთხი წევრი ქალია, მათ შორის თავმჯდომარეც. უფრო დაბალ საფეხურებზე, ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 56%, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 65% შეადგენენ, ხოლო 53% საუბნო საარჩევნო კომისიებს ქალები თავმჯდომარეობენ.

სხვადასხვა საარჩევნო საკითხებზე ცესკოს ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანია საჯარო და კერძო მედიის მეშვეობით ტარდებოდა. ეს მოიცავდა ასევე საინფორმაციო გამოშვებებს უმცირესობებისა და ჟესტების ენაზეც. ცესკოს სასწავლო ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ტრენინგები ჩაატარა, სადაც მაღალი დასწრების

---

6 იხილეთ ევროპული კომისიის დემოკრატია სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) „საარჩევნო საკითების კარგი პრაქტიკის კოდექსის“ 72 მუხლი: http://www.venice.coe.int/webforms/documents/CDL-AD(2002)023rev.aspx.

7 დაუშვებელია, რომ თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი იყონ ერთი „საარჩევნო სუბიექტის“ წარმომადგენლები. საარჩევნო კოდექსი შემდეგნაერად განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტის ცნებას: პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო ბლოკები, კანდიდატები და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფები. 37 საუბნო საარჩევნო კომისიაში პირველი სხდომის შედეგები გაუქმდა ამ პირობის დარღვევის გამო. მოგვიანებით, მოხდა ხელახალი დანიშვნა ამ თანამდებობებზე და სხდომები თავიდან ჩატარდა.

8 873 თავმჯდომარე ქართული ოცნების და 23 თავმჯდომარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი; 918 თავმჯდომარის მოადგილე ქართული ოცნების და 100 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი; და 742 მდივანი ქართული ოცნების და 164 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. იმისათვის, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების სამივე საკვანძო თანამდებობა არ ყოფილიყო დაკავებული ქართული ოცნების კოალიციის წევრების მიერ, გადაწყდა, რომ კოალიციაში შემავალი ექვსივე პარტია, კანდიდატის წამოყენების დროს, იქნებოდა მიღებული როგორც ერთი საარჩევნო სუბიექტი.

დონე აღინიშნებოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიისა და ტრენინგებზე დამსწრე საზოგადოების განცხადებით, ტრენინგის მასალები ყოვლისმომცველი და გასაგები იყო. ამასთანავე, ჩატარდა ტრენინგი არჩევნებში ჩართული სხვა მხარეებისთვის, მათ შორის, ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამშრომლების, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრების, სახალხო დამცველის, სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლების, მედიის წარმომადგენელთა, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის. აღნიშნული ტრენინგები ინტერაქტიულ ხასიათს ატარებდნენ და მონაწილეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული[9].

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა სიის შედგენაზე, რომელიც ეფუძნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.[10] ცესკომ გამოაქვეყნა ამომრჩეველთა საბოლოო სრული რაოდენობა: 3,537,719. მათ შორისაა 48,458 საზღვარგარეთ რეგისტრირებული ამომრჩეველი.

აგვისტოში დაახლოებით 98,000 ამომრჩეველი ამოღებული იქნა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სიიდან არასრული მონაცემების ან არასწორი მისამართის არსებობის გამო.[11] ამ ამომრჩევლებს სჭირდებოდათ ხელახლა რეგისტრაცია 10 ოქტომბრამდე და ისინი უნდა ჩარიცხულიყვნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში, რათა ჰქონოდათ ხმის მიცემის საშუალება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არაადეკვატურად შეზღუდული დრო ჰქონდა იმისთვის, რომ დროულად აღერიცხა და ხელახლა დაერეგისტრირებინა ეს ამომრჩევლები. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განაცხადა, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილი 9,142 ამომრჩეველი დადგენილი თარიღისთვის ხელახლა იქნა დარეგისტრირებული.
ამომრჩეველთა სიები გამოიკრა საუბნო საარჩევნო კომისიებში საჯარო კონტროლის მიზნით და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იყო 11 ოქტომბრამდე.

საუბნო საარჩევნო კომისიებმა ორჯერ გაავრცელეს ამომრჩევლის საინფორმაციო ბარათები. ზოგიერთ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, საუბნო საარჩევნო კომისიებმა ვერ მიაკვლიეს ამომრჩევლებს

---

9 ანგარიში მოწოდებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის სამეგრელო - ზემო სვანეთის, რაჭის, იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გრძელვადიან დამკვირვებელთა გუნდების მიერ.

10 თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უზენაესი სასამართლო.

11 ცესკომ აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ დარეგისტრირებული ამომრჩევლების გამოკლებით რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების რაოდენობა იყო დაახლოებით 75,000. რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდათ ხმა მიეცათ 2010 და 2012 წლებში საგანგებო სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რომლებიც პარლამენტსი გადაწყვეტილებით არ იყო ძალაში ამჟამინდელი არჩევნებისთვის.

მითითებულ მისამართზე. საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადებით, ძალიან ცოტა ამომრჩეველმა მიაკითხა საარჩევნო უბნებს სიების შემოწმების მიზნით. ამ მონაცემების შემოწმება შესაძლებელი იყო ცესკოს ვებ გვერდზეც. საერთო ჯამში, ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენის პროცესისადმი საკმარისი ნდობა არსებობდა.

კანდიდატების რეგისტრცია

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 35 წელი, აქვს ხმის მიცემის უფლება, უცხოვრია საქართველოში მინიმუმ ხუთი წელი (მათგან სამი წელი - არჩევნებამდე), შეიძლება არჩეული იყოს საქართველოს პრეზიდენტად.[12] საცხოვრებელთან დაკავშირებული ეს მოთხოვნები არაპროპორციულია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.[13]

ცესკო გამჭვირვალე და ინკლუზიური მიდგომით ახორციელებდა კანდიდატების რეგისტრაციის პროცესს. პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს ცესკოში შეჰქონდათ შესაბამისი განაცხადი, რის შემდეგაც მათ მოეთხოვებოდათ რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობის მინიმუმ 0.75 პროცენტის ხელმოწერების შეგროვება და წარმოდგენა (რაც 26,530 ამომრჩეველს უტოლდება)[14]. ცესკომ მიიღო 54 განაცხადი: მათგან 42 საინიციატივო ჯგუფების, ხოლო 12 – პოლიტიკური პარტიების მიერ იყო შეტანილი. ცესკომ დაარეგისტრირა 23 კანდიდატი: პოლიტიკური პარტიების მიერ წამოყენებული 10 კანდიდატი და 13 დამოუკიდებელი კანდიდატი.[15] სამი კანდიდატი ქალია. შვიდმა კანდიდატმა თავად მოხსნა კანდიდატურა, 24 მსურველს კი სხვადასხვა

---

12 კონსტიტუცია ასევე შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლებიც უფლებას აძლევს ადამიანებს ვეროკავშირის ქვეყნების მოქალაქეობის მქონე პირებს, მიიღოს მონაწილეობა. ეს დებულება ძალაშია 2014 წლის 1 იანვრამდე (იხ. 104/4 მუხლი).

13 "პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში არ უნდა შეეზღუდოთ ეს უფლება უიზეზოდ ან დისკრიმინატორული მოთხოვნების საფუძველზე, როგორიცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან წარმოშობა, ან პოლიტიკური კუთნვილება". იხ. გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის #25 ზოგადი კომენტარის (1996) 14-ე პუნქტი. იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი ხედვის მუხლი 26-17 (No. 617/2011)

14 დამოუკიდებელი კანდიდატები ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ არიან წარდგენილნი.

15 პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატები: აკაკი ასათიანი (ქართველი ტრადიციონალისტების კავშირი), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო), კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია), სერგო ჯავახაძე (მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის), ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები), გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება - დეოკრატიული საქართველო), თეიმურაზ მჟავია (ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია), შალვა ნათელაშვილი (საქართველოს ლეიბორისტული პარტია), გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა).
დამოუკიდებელი კანდიდატები: ნუგზარ ავალიანი, თამაზ ბიბილური, თეიმურაზ ბობოხიძე, ლევან ჩაჩუა, ნინო ჭანიშვილი, გიორგი ჩიხლაძე, მამუკა ჭოხონელიძე, ქართლოს ღარიბაშვილი, ნესტან ქირთაძე, გიორგი ლილუაშვილი, ავთანდილ მარგიანი, მამუკა მელიქიშვილი, მიხეილ სალუაშვილი.

მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.[16] 9 მსურველმა სარჩელი შეიტანა ცესკოში, მათგან ოთხი სარჩელი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ეხებოდა. ცესკომ და სასამართლოებმა არცერთი სარჩელი არ დააკმაყოფილეს. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა შემზღუდველია და არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას.[17]

საარჩევნო კამპანიის გარემო

კამპანიის მსვლელობისას დაცული იყო სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრების თავისუფლება და კანდიდატებს შეეძლოთ, საარჩევნო კამპანია თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჩაეტარებინათ. ის ორგანიზაციები და პირები, რომელთანაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა ურთიერთობა, აღნიშნავენ, რომ ამჟამინდელი საარჩევნო კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილება და ის აშკარად უფრო მშვიდია. თუმცა, საარჩევნო კამპანიის გარემოზე უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებზე პოლიტიკური ზეწოლის შესახებ შეტყობინებებმა. საარჩევნო კამპანიის დასაწყისში პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის ღია დაპირისპირებამ ყველა სხვა მოვლენა გადაფარა პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა ეს დაპირისპირება თანდათან ძირითად კანდიდატებს შორის შეჯიბრში გადაიზარდა. ამის მიუხედავად, მთელი კამპანიის მსვლელობისას დომინირებდა პერსონიფიცირებული პოლიტიკა საჯარო დებატებში.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კონკრეტული პარტიების მხარდამჭერთა მხრიდან მოწინააღმდეგე პარტიების აქტივისტების შევიწროვებისა და მათზე ძალადობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა[18]. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ასევე განაცხადა

---

16 ამ 24-დან 5-ს ორმაგი მოქალაქეობის გამო ეთქვა უარი რეგისტრაციაზე; 12-ს უარი ეთქვა იმის გამო, რომ დადგენილ ვადებში არ წარმოადგინეს მხარდამჭერთა სია; ერთს უარი ეთქვა იმის გამო, რომ წარმოადგინა მხარდამჭერთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობის ხელმოწერები; სამს უარი ეთქვა არასრული დოკუმენტაციის წარდგენის გამო; ორს - მხარდამჭერთა სიებში არსებული უზუსტობების გამოუსწორებლობის გამო და ერთს - საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო.ორმაგი მოქალაქეობის მქონე კანდიდატებს შორის, რომლებსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, არიან სალომე ზურაბიშვილი, ტარიელ ხვედელიძე, მერაბ სულიაშვილი, გიორგი გახოკია და ზურაბ წიწუაშვილი.

17 იხ. ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 3-ე მუხლი და ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის კოდექსის 1.1.ბ მუხლი.

18 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ივლისის თვეში ჩატარებული პრაიმერის დროს, პოლიციამ სულ მცირე 17 ადამიანი დააპატიმრა იმის გამო, რომ ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს სხვადასხვა საგნებს ესროდნენ და ცდილობდნენ, ღონისძიებების ჩატარებისთვის ხელი შეეშალათ. ეს პირები დააპატიმრეს წვრილმანი ხულიგნობისთვის და ერთის გარდა, ყველა დაჯარიმდა 100 ლარიანი ჯარიმით. აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით დაახლოებით 15 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის: აქტივისტების ვიდეოკამერაზე გადაღება დემონსტრაციებზე, დაპირისპირებები საარჩევნო მასალების გამოქვეყნების დროს და ფიზიკური ძალადობა. ყველა ასეთი დარღვევის შესახებ უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსა და ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა.

ხელისუფლების მხრიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავე ამ პარტიის წევრთა დაშინების რამდენიმე ინციდენტის შესახებაც.[19] ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ისევე, როგორც სხვა რამდენიმე პარტია, ასაჩივრებდა აგრეთვე მათი საარჩევნო პოსტერების მოხსნას და ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ მსგავს საჩვართა უმრავლესობა უსაფუძვლოდ მიიჩნია. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენება არ გამხდარა კამპანიის მთავარი პრობლემა.

კანდიდატთა სიმრავლის მიუხედავად, საარჩევნო კამპანია შედარებით ნაკლები აქტიურობით ხასიათდებოდა. მხოლოდ გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო), შედარებით ნაკლებად კი - კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია), შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია) და გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა) ატარებდნენ აქტიურ საარჩევნო კამპანიას ქვეყნის მასშტაბით.[20] საარჩევნო კამპანიები წარიმართებოდა მოსახლეობასთან შეხვედრების გზით, ბილბორდებისა და პლაკატების გავრცელებით, მცირე მასშტაბის შეხვედრებით ამომრჩეველთან, პრეს კონფერენციებითა და შედარებით ნაკლებად - სოციალური მედიის გამოყენებით. კანდიდატთა უმრავლესობა ორიენტირებული იყო კარდაკარ კამპანიის პრინციპზე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა, რომ ბევრი მოსაუბრე მხარე ამ კამპანიას აღიქვამს, როგორც ერთგვარ სამზადისს 2014 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნებისთვის.

კამპანიის ძირითადი მესიჯი იყო ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა და ხელისუფლების ზეწოლის შემცირება. მიუხედავად პრეზიდენტის შეზღუდული პოლიტიკური უფლებამოსილებისა, კანდიდატები აყენებდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა განათლება, დასაქმება და სოციალური საკითხები. ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა ასევე აქტიურად ფიგურირებდა პროგრამებში. „სამართლიანობის აღდგენა“ და წინა მთავრობის მოხელეებისა და ლიდერების სასამართლოს წინაშე წარდგენის მოწოდებებიც აქიურად ფიგურირებდა ბევრი კანდიდატის პროგრამაში.

გიორგი მარგველაშვილის კამპანიას მხარს უჭერდნენ ქართული ოცნების სიით გასული პარლამენტისა და მთავრობის წევრები, პრემიერ მინისტრის ჩათვლით, როგორც მედია საშუალებებში, ასევე საარჩვენო შეხვედრების მსვლელობისას. კამპანიის მანძილზე პრემიერი აქტიურად ჩანდა ტელესივრცეში. ქართული ოცნების კამპანიის მნიშვნელოვანი მესიჯი იყო ერთი მილიარდი ამერიკული დოლარის შემოწირულობა საქართველოს თანადაფინანსების ფონდში (იხილეთ განყოფილება „მედია“). მისი განცხადება, რომ

[19] ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ორი საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში.

[20] გიორგი მარგველაშვილი წარადგინა კოალიცია ქართულმა ოცნებამ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, თუმცა, რადგან კოალიციას არ აქვს კანდიდატის წარდგენის უფლება, ის ოფიციალურად წარადგინა პარტიამ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.

არჩევნების შემდეგ ის გადადგება და დაასახელებს თავის შემცვლელს, ასევე იყო საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი თემა.

კამპანიის დაფინანსება

საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებზე და საარჩევნო კოდექსი არეგულირებს პოლიტიკური პარტიების საჯარო და კერძო დაფინანსების სისტემას. მასში განსაზღვრულია დაფინანსების მოთხოვნები, დაწესებულია ზედა ზღვარი შემოწირულობებისთვის და კამპანიის ხარჯებისთვის, განსაზღვრულია სანქციები დარღვევებისთვის. კანონმდებლობა შეიცვალა 2013 წლის აგვისტოში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. უკანასკნელ ცვლილებებში გათვალისწინებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოსაუბრე მხარეების მთავარი შენიშვნები და ისინი მიღებულია პარლამენტის მიერ კონსულტაციების საფუძველზე. არსებული სამართლებრივი ჩარჩო, სათანადოდ დაცვის შემთხვევაში, იქნებოდა მაქსიმალურად ეფექტური საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ევალება საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დარღვევებზე რეაგირება და სანქციების დაკისრება.[21] კანონი არ აწესებს მოსარჩელეთა ფინანსური დეკლარაციების განხილვის ვადებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. თუმცა, რეალურად სამსახურმა ეს განცხადებები დროულად განიხილა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე არ აქვს განსაზღვრული ვადები კამპანიის ფინანსური დარღვევების გამოსწორებისთვის. კამპანიის დაფინანსების მოთხოვნების დარღვევებზე რეაგირებისთვის მაქსიმალური ვადაა ექვსი წელი.

დარღვევების გამოსწორებისთვის ზუსტი ვადების არარსებობა წარმოქმნის შეშფოთების საფუძველს კამპანიის დაფინანსების წესების ზოგადი ეფექტურობის თვალსაზრისით.

პარტიების და დამოუკიდებელი კანდიდატების უმრავლესობამ წარადგინა შემოსავლების და დანახარჯების ანგარიშები დადგენილ ვადაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ განუხორციელებია არანაირი ქმედება მათდამი, ვინც არ წარადგინა ანგარიში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ მოეთხოვება ამ ანგარიშების გასაჯაროება, თუმცა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მაქსიმალური გამჭვირვალობა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაასაჯაროვა ეს ანგარიშები თავის ვებ გვერდზე. ეუთოს დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მოსაუბრე მხარეებმა გამოხატეს შეშფოთება კამპანიის განმავლობაში კონტროლის დაბალი დონის გამო, რომელსაც ახორციელებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეატყობინა ეუთოს დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, საკუთარი გადაწყვეტილება,

[21] ჯარიმები 2,000 ლარის ოდენობით იქნა დაკისრებული ორ შემთხვევაში იმისთვის, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსხურს არ შეატყობინეს ნაღდი ფულის გამოტანის შესახებ საბანკო ანგარიშებიდან.

რეაგირება მოეხდინა კამპანიის ფინანსურ დარღვევებზე მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ, რათ ზეგავლენა არ მოეხდინა საარჩევნო პროცესზე. ეს გადაწყვეტილება რეალურად სუსტ კონტროლში გამოიხატა.

თუმცა, კორპორატიული შემოწირულობების ოდენობა გაიზარდა 2013 წელს, არცერთ კანდიდატს არ მიუღია არანაირი შემოწირულობა იურიდიული პირებისაგან. 152 დონორმა შესწირა 1,791,861 ლარი ქართულ ოცნებას და 343 დონორმა გადასცა 1,819,585 ლარი დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიან საქართველოს. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ მიიღო 375,093 ლარი 85 დონორისგან მოცემულ პერიოდში.

მედია

მხარეები მიიჩნევენ, რომ 2012 წლის არჩევნებთან შედარებით მედია გარემო უფრო ღიაა და ჟურნალისტები ყოვლისმომცველად აშუქებენ მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს. ნაციონალური ტელევიზია ამომრჩევლის უდიდესი ნაწილისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ რჩება. ბეჭდური მედია მოსაზრებათა უფრო ფართო სპექტრს სთავაზობს, თუმცა მისი გავლენა ნაკლებია, ხდება ბეჭდურის ონლაინ–მედიით თანდათანობით ჩანაცვლება.

გაუმჯობესებულმა მედია გარემომ ამომრჩეველს შესთავაზა მოსაზრებათა ფართო სპექტრი თოქ-შოუების, უფასო სათერო დროის და დებატების მეშვეობით. თუმცა, კვლავაც აღინიშნება კრიტიკული ანალიზისა და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა. კანდიდატებს ჰქონდათ საშალება თავიანთი პროგრამები და მოსაზრებები თავისუფლად წარმოედგინათ. ახალი ამბების გამოშვებები მთავარ კანდიდატებს ყოველდღიურად აშუქებდნენ, თუმცა ისინი უმეტესად ორიენტირებული იყვნენ კანდიდატების ყოველდღიური წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებების, და არა მათი შესაბამისი პლატფორმის გაშუქებაზე.

კანონმდებლობა კანდიდატებს ორ კატეგორიად ყოფს: ვისაც ეკუთვნით და ვისაც არ ეკუთვნით უფასო საეთერო დრო.[22] ეს განსხვავება მნიშვნელოვან სარგებელს აძლევდა კვალიფიციურ კანდიდატებს, ხოლო არაკვალიფიციურ კანდიდატებს კამპანიის იმავე დონეზე წარმოების შესაძლებლობას უზღუდავდა. არაკვალიფიციურმა კანდიდატებმა ამგვარი დაყოფა გააკრიტიკეს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სელექციურად მიიჩნიეს. არაკვალიფიციურმა კანდიდატებმა პრეს-კონფერენცია გამართეს, სადაც მოითხოვეს თანაბარი პირობები მედიის მხრიდან გაშუქების თვალსაზრისით და სახელმწიფო დაფინანსება ყველა კანდიდატისთვის.

---

[22] უფასო საეთერო დრო (60 წამი საათში საზოგადოებრივ მაუწყებელზე, და 90 წამი ყოველ სამ საათში კერძო მაუწყებლებზე) გამოეყოთ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 4%, ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში - ამომრჩეველთა ხმების 3%. ესენია - გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო), დავით ბაქრაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), კობა დავითაშვილი (სახალხო პარტია), სერგო ჯავახიძე (მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის), გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა), ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები), თეიმურაზ მჟავია (ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია)

მიუხედავად ამისა, ცნობილ არაკვალიფიციურ კანიდიდატებს ახალ ამბებსა და თოქ-შოუებში საკმაოდ მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდათ. 10 ოქტომბრიდან, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საზოგადოებრივი აზრის კვლევის საფუძველზე, ნინო ბურჯანაძე იმ კანდიდატების სიაში შეიყვანა, რომლებიც უფასო საეთერო დროს მიიღებდნენ, რაც პოზიტიური მოვლენაა.[23] აღნიშნულის საპირისპიროდ, კერძო მაუწყებლებმა არჩიეს, არ გამოეყოთ უფასო საეთერო დრო ქ-ნი ბურჯანაძისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა, 17 და 18 ოქტომბერს, სხვადასხვა კვალიფიციურ კანდიდატებს შორის ორი დებატი გამართა. ნინო ბურჯანაძემ გადაწყვიტა, არ მიეღო მონაწილეობა დებატებში, რამდენადაც ის არ მოხვდა პირველ ჯგუფში, რომელშიც მონაწილეობდნენ გიორგი მარგველაშვილი და დავით ბაქრაძე. მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ შეიძინა სარეკლამო დრო ნაციონალურ ტელევიზიებში, მაშინ როდესაც დავით ბაქრაძემ, გიორგი ჩიხლაძემ, ნესტან კირთაძემ და გიორგი მარგველაშვილმა მხოლოდ მცირე რაოდენობის სარეკლამო დრო შეისყიდეს. უფლებამოსილების მიუხედავად, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ არ გამოიყენა მათთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება კერძო ტელეკომპანიებში რეკლამების განსათავსებლად.[24]

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგმა აჩვენა, რომ მედიასაშუალებები უმეტესად ფოკუსირებული იყვნენ საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების და მთავრობის ღონისძიებების გაშუქებაზე, ვიდრე კონკრეტული კანდიდატების აქტივობებზე.[25]

ამასთან, ყველა წამყვან ნაციონალურ ტელეარხზე პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა პრემიერ-მინისტრის სამი შეხვედრა პოლიტიკურ ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან, რომელიც საერთო ჯამში 11 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ შეხვედრების და საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „იმედის“ ორი ხანგრძლივი ინტერვიუს მიმდინარეობისას, პრემიერ-მინისტრმა გააკრიტიკა ექსპერტებისა და ჟურნალისტების საქმიანობა მთავრობის და არჩევნების გაშუქების დროს; ის ასევე ღიად ეწეოდა აგიტაციას გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ, რამაც მას დამატებითი საეთერო დრო მისცა.

მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა უზრუნველყო კვალიფიციური კანდიდატების თანაბრად გაშუქება. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ახალი ამბების გამოშვებებში ერთნაირი პროპორციულობით აშუქებდა (12-დან 14 პროცენტამდე

---

23 პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არჩევნების დღემდე მინიმუმ ერთ თვით ადრე ჩატარებულ გამოკითხვაში ამომრჩეველთა ხმების 4%–ზე მეტს მიიღებს, შესაძლებელია გამოეყოს უფასო საეთერო დრო.

24 „საქართველოს კანონის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ თანახმად, დამატებითი დაფინანსება სატელევიზიო რეკლამისათვის გამოიყოფა იმ პარტიების სასარგებლოდ, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ საერთო სახელმწიფო დაფინანსება და რომელთაც წამოაყენეს საპრეზიდენტო კანდიდატი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო ორადორი პარტიაა, რომელიც შეესაბამება ამ მოთხოვნას და შესაბამისად, უფლება აქვთ მიიღონ 600 000 და 100 000 ლარი.

25 მონიტორინგი განხორციელდა 23 სექტემბერიდან 26 ოქტომბრამდე და ფოკუსირებული იყო პრაიმტაიმ საეთერო დროზე (18:00-24:00). მედია საშუალებები, რომელთა მონიტორინგიც მიმდინარეობდა, მოიცავდა: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს, ტელეკომპანია აჭარას, რუსთავი 2-ს, იმედს, მაესტროს და კავკასიას.

არჩევნების გაშუქება) დავით ბაქრაძეს, ნინო ბურჯანაძეს, გიორგი მარგველაშვილს და გიორგი თარგამაძეს, კობა დავითაშვილს, ზურაბ ხარატიშვილს. ხოლო არაკვალიფიციურმა კანდიდატებმა - ნესტან კირთაძემ და შალვა ნათელაშვილმა, თითოეულმა ექვსიდან რვა პროცენტამდე მიიღო.

კერძო ტელეკომპანიების ახალი ამბების გამოშვებები, რომელთა მონიტორინგიც განახორციელა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ, უმეტესად ეთმობოდა გიორგი მარგველაშვილისა და დავით ბაქრაძის ღონისძიებებს. ტელეკომპანია მაესტრომ თანაბრად გააშუქა ორივე კანდიდატი, ძირითადად, ნეიტრალური ტონით. მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“ და „იმედი“ უმეტესად პოზიტიურად და ნეიტრალურად აშუქებდნენ ორივე კანდიდატს, მათ მეტი დრო დაუთმეს დავით ბაქრაძეს. ტელეკომპანია „კავკასია“ უპირატესობას ანიჭებდა გიორგი მარგველაშვილს, როგორც გაშუქების ტონით, ისე რაოდენობის თვალსაზრისით. ამასთანავე, კერძო ტელეკომპანიები მნიშვნელოვნად მეტ საეთერო დროს უთმობდნენ ნინო ბურჯანაძეს და გიორგი თარგამაძეს და უმეტესად ნეიტრალურად აშუქებდნენ.

ბათუმში არსებული ტელეკომპანია „აჭარა“ ძირითადად მიმართული იყო რეგიონულ საკითხებზე და კანდიდატების საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს შეზღუდულად აშუქებდა. კამპანიის გააშუქებისას ტელეკომპანია „აჭარა“ აშკარად უპირატესობას ანიჭებდა გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც პოზიტიური გაშუქების 14 პროცენტი მიიღო, მაშინ როცა არცერთ სხვა კანდიდატს 8 პროცენტზე მეტი მსგავსი გაშუქება არ მიუღიათ. ახალი ამბების გამოშვებაში ტელეკომპანია „აჭარამ“ კანდიდატების პორტრეტები, მათი ბიოგრაფიები და ძირითადი საარჩევნო გზავნილები წარმოადგინა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მედიის მარეგულირებელი ძირითადი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია სამაუწყებლო მედიის საქმიანობის მეთვალყურეობაზე. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას არ გამოუქვეყნებია მონიტორინგის შუალედური შედეგები და აპირებდა მისი პირველი შუალედური ანგარიშის გამოქვეყნებას არჩევნების მომდევნო დღეს. კომისიამ აცნობა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, რომ არ მიუღია არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრები, თუმცა დააფიქსირა მცირედი დარღვევები პოლიტიკური რეკლამების განთავსებასთან დაკავშირებით.

ეროვნული უმცირესობები

კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენს, მათ შორის ყველაზე დიდი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი), რომლებიც სასაზღვრო რეგიონებშია მჭიდროდ დასახლებული. საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება.

მიმდინარე არჩევნებისთვის, ცესკომ ჩამოაყალიბა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ეროვნული უმცირესობების საკითხებზე, მოაწყო რამდენიმე შეხვედრა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რამდენიმე გასვლა. სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდასაჭერად და საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გასაზრდელად ცესკომ გრანტები გამოყო. ასევე, უმცირესობათა საკითხზე მომუშავე და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, უმცირესობათა ენებზე ჩაატარა ტრენინგები, საინფორმაციო კამპანიები და საგანმანათლებლო პროექტები უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

ყველა დაინტერესებულ საპრეზიდენტო კანიდიდატს ჰქონდა შესაძლებლობა, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, გაეხსნა საარჩევნო ოფისები ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. სამი ყველაზე შესამჩნევი კამპანია, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, წარმართეს ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს კანდიდატებმა.

წინასაარჩევნო პერიოდის მიმდინარეობისას, ზოგადი სიტუაცია უმცირესობათა რეგიონებში იყო მშვიდი და მნიშვნელოვან ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფო ენასთან ერთად, ცესკომ საარჩევნო დოკუმენტაცია მოამზადა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ცესკოს ვებ–გვერდზე ინფორმაცია განთავსებული იყო აფხაზურადაც. საარჩევნო პერიოდში, ცესკოში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი უმცირესობათა ენებზე.

განცხადებები და საჩივრები

საარჩევნო კოდექსი აწესებს დავების გადაწყვეტის სწრაფ პროცესს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების და აპელაციის შემთხვევებისათვის – საჩივრებისა და აპელაციების განსახილველად ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ კალენდარულ დღემდე. არჩევნების მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი. ამასთანავე, საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ ადმინისტრაციული ოქმი დარღვევების შესახებ შეიტანონ საქალაქო თუ რეგიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების მოთხოვნით. რიგ საკითხებზე საჩივრების შეტანა შესაძლებელია პირდაპირ სასამართლოებში, ასევე საარჩევნო კომისიებში, რაც ,შესაბამისად, ქმნის იურისდიქციის შესახებ პოტენციურ კონფლიქტს. დარღვევის არსიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს სამიდან თხუთმეტ დღემდე ვადაში. გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიისთვის საჩივრების განხილვის ვადა, გარდა ქვემდგომი საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების თაობაზე საჩივრებისა, ერთი თვეა. მიუხედავად იმისა, რომ ვადები არ უზრუნველყოფს დავების დროულ გადაწყვეტას, რაც კარგ საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება,[26] ცესკომ და საოლქო

[26] იხ. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსის 95-ე მუხლი.

საარჩევნო კომისიამ ყველა/უმეტეს საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებები არჩევნების დღემდე მიიღო.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში 100-მდე საჩივარი შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებად დანიშვნაზე, საჯარო მოხელეების კამპანიაში მონაწილეობაზე, საარჩევნო პლაკატების დაზიანებაზე, პარტიების აქტივისტებზე ძალადობისა და ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით; მათი უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა.[27] ცესკომ საჩივრები განიხილა ღია და ინტერაქციულ სხდომებზე, სადაც მომჩივნებს ჰქონდათ საშუალება წარმოედგინათ ფაქტები და მათი არგუმენტები. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ადამიანები, რომლებმაც სავარაუდოდ დაარღვიეს კანონი, არ იყვნენ მოწვეული ცესკოს შესაბამის სხდომაზე და აქედან გამომდინარე, არ ჰქონდათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი პოზიცია.[28]

უწყებათაშორისმა კომისიამ განიხილა 80 შემთხვევაზე მეტი, რომელთა შესახებაც ცხრა სხდომის დროს წერილობით ან ზეპირად ეცნობა.[29] შემთხვევების უმრავლესობა ეხებოდა საჯარო მოხელეების მხრიდან აკრძალულ აგიტაციას, პლაკატების დაზიანებას და პარტიათა აქტივისტებზე ძალადობა. უწყებათაშორისმა კომისიამ განიხილა თითქმის ყველა საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მის მანდატს სცილდებოდა.[30] უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცა 16 რეკომენდაცია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა მონაწილის მიმართ, რომელიც ასევე მოიცავდა რეკომენდაციას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რომ მათ გამოეცათ განმარტებები საჯარო მოხელეებისთვის იმის შესახებ, თუ რისი უფლება ჰქონდათ საარჩევნო პერიოდში და რომ თავი შეეკავებინათ თანამშრომელთა განთავისუფლებისგან. [31]

უწყებათაშორის კომისიაში საჩივრების შეტანის პრაქტიკა, საარჩევნო კომისიების და სასამართლოს ნაცვლად, რომელთაც აქვთ სანქციების დაკისრების უფლებამოსილება, საერთაშორისო სტანდარტების და კარგი პრაქტიკის შესაბამის დავების ეფექტურ გადაწყვეტას არ უზრუნველყოფს.[32] ერთ შემთხვევაში, უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაცია მისცა პროკურორს, რომ კამპანიის პერიოდში პარტიების აქტივისტების წინააღმდეგ გამოძიებისგან თავი შეეკავებინა. კარგი განზრახვის მიუხედავად, ამან,

---

27 კანონდარღვევებზე ჯარიმები არ დაკისრებულა. ოთხი საქმე გაიგზავნა სასამართლოში.

28 ეს ეწინააღმდეგება 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5.16 მუხლს და კარგ საარჩევნო პრაქტიკასა და საარჩევნო საკითხებზე ვენეციის კომისიის კოდექსის მე-100 მუხლს.

29 იხ. საარჩევნო კოდექსის მუხლი 48.9; მისი მანდატია „საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირება“ და „რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს ან ცესკოს და მოითხოვოს გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება“

30 მაგალითად, კომისიამ განიხილა სალომე ზურაბიშვილის რეგისტრაციაზე უარის თქმის საკითხი, ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა უფასო საეთერო დროის თაობაზე და სააგიტაციო პლაკატების დაზიანების საკითხი.

31 კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, სამინისტროების და სხვა სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი ორგანოების, ცესკოს, სასამართლოების, პროკურატურის და პარტიების მიმართ.

32 იხ. საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2.3 და კარგ საარჩევნო პრაქტიკასა და საარჩევნო საკითხებზე ვენეციის კომისიის კოდექსი, მუხლები 92-100.

შესაძლოა, არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების დროულ გამოძიებას შეუშალოს ხელი.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსით დაშვებულია ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვება, ცესკომ ამ არჩევნებზე დასაკვირვებლად დაარეგისტრირა 60 ადგილობრივი და 63 საერთაშორისო ორგანიზაცია. მთლიანობაში, ცესკომ აკრედიტაცია მისცა 19,746 ადგილობრივ და 1,241 საერთაშორისო დამკვირვებელს. ამასთანავე, პარტიებმა და კანდიდატებმა წარმოადგინეს საკუთარი წაარმომადგენლები არჩევნების დღის პროცედურებზე დასაკვირვებლად. სამოქალაქო საზოგადოებამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა განახორციელეს რიგი აქტივობები საარჩევნო პროცესის ხელშეწყობის და არჩევნების მონიტორიგნის მიზნით, მათ შორის წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვება, არჩევნების დღეს დამკვირვებელთა გაგზავნა, საოლქო საარჩევნო კომისიის და მედიის მუშაობის მონიტორინგი, საარჩევნო სიების შემოწმება, ხმების პარალელური დათვლა, სატელეფონო ცხელი ხაზის შექმნა და საინფორმაციო ვებ-გვერდები. დიდი რაოდენობით ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მათი ჯგუფების ჩართულობამ საარჩევნო პროცესში, ზოგადად, გამჭვივრვალობა გააუმჯობესა.

არჩევნების დღე, ხმების დათვლა და შედეგების შეჯამება

საარჩევნო დღემ მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა. მთლიანობაში პროცესი საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან პოზიტიურად შეფასდა, თუმცა დღის მანძილზე გარკვეული რაოდენობის ტექნიკური ხასიათის დარღვევები აღინიშნა. ცესკომ არჩევნების შედეგების გამოცხადება არჩევნების ღამეს დაიწყო და ვებ-გვერდზე შედეგები ოლქებისა და უბნების მიხედვით განათავსა. ეს დადებითი მოვლენაა გამჭვირვალობის გასაზრდელად. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობამ 46.6 პროცენტი შეადგინა.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს უბნების გახსნის პროცედურები 157-დან 147 საარჩევნო უბანზე, რომელზეც მიმდინარეობდა დაკვირვება. თუმცა, მცირედად შეყოვნდა 43 საარჩევნო უბნის გახსნა, რომელსაც გავლენა არ მოუხდენია ხმის მიცემის პროცესზე. კანდიდატების და პარტიების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ 148 უბანზე და ადგილობრივი დამკვირვებლები წარმოდგენილი იყვნენ 119 საარჩევნო უბანზე, რომელზეც განხორციელდა დაკვირვება. თუმცა, 12 შემთხვევაში აღინიშნა, რომ ისინი ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში. მცირე პროცედურული ხასიათის პრობლემები მოიცავდა სადემონსტრაციო ოქმში ან ჩანაწერთა წიგნში ამომრჩეველთა რაოდენობის და ბიულეტენების რაოდენობის შესახებ ჩანაწერის არარსებობას 20 საარჩევნო უბანზე.

საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ საერთო დადებითი შეფასების გაკეთებისას, პროცესი შეფასდა როგორც კარგი ან ძალიან კარგი 97% უბანზე, სადაც განხორციელდა დაკვირვება. დამკვირვებლები არ შეფერხებულან და საარჩევნო უბანთა 99%

შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად განეხორციელებინათ პროცედურებზე დაკვირვება. თუმცა, ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა ხმის მიცემის პროცედურა 91 შემთხვევაში, ძირითადად უბნების გადატვირთულობის გამო, რომელიც გამოწვეული იყო უბანზე ადგილობრივ დამკვირვებელთა და პარტიების წარმომადგენელთა დიდი რაოდენობით, ხშირად რამდენიმე წარმოადგენლის ერთდროულად ყოფნის გამო. დაკვირვებისას, საარჩევნო უბნების 3%-ში, აღინიშნა, რომ ეს ადამიანები მითითებებს აძლევდნენ ან ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში. საარჩევნო უბნების 13% დაფიქსირდა, რომ სადემონსტრაციო ოქმები არ იყო სათანადოდ შევსებული და ამომრჩეველთა რაოდენობა არ იყო მითითებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა, საარჩევნო პროცედურის ცოდნა, ისევე როგორც პროცესის გამჭვირვალობა დადებითად შეფასდა 95 % და 97 % შემთხვევებში შესაბამისად. ქალები ხელმძღვანელობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების 56%, რომლებზეც განხორციელდა დაკვირვება.

ხმების დათვლა დადებითად შეფასდა 102-დან 92 საარჩევნო უბანზე. საერთაშორისო დამკვირვებლები კარგად ხედავდნენ ხმის დათვლის პროცესს 101 საარჩევნო უბანზე. ხმის დათვლა შეფასდა გამჭვირვალდედ 105-დან 99 შემთხვევაში, თუმცა, 18 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიას პრობლემები ჰქონდა შემაჯამებელი ოქმების შევსებისას და 32 შემთხვევაში ისინი საჯაროდ არ გამოიფინა, როგორც ამას კანონი მოითხოვს. 13 შემთხვევაში, ყველა ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანი ხმამაღლა არ გაჟღერებულა, რომელიც გამჭვირვალობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და არ გადამოწმებულა მონაცემები ხმის დათვლის შემდეგ 15 შემთხვევაში.

შედეგების შეჯამება 65 ოლქში, 79-დან 74 შემთხვევაში, შეფასდა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი. საერთაშორისო დამკვირვებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა თვალყური ედევნებინათ პროცესისთვის შეზღუდვების გარეშე. პირობები და საშუალებები საარჩევნო მასალების მისაღებად შეფასდა, როგორც არაადეკვატური 16 შემთხვევაში და 16 შემთხვევაში ოლქში მყოფი ადამიანების დიდმა რაოდენობამ ნეგატიური გავლენა მოახდინა პროცესზე. იმ ოლქებში, სადაც განხორციელდა დაკვირვება, საკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლები და ადგილობრივი დამკვირვებლები.

ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია
არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე

ინფორმაცია მისიის შესახებ

თბილისი, 2013 წლის 28 ოქტომბერი - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია 19 სექტემბერს გაიხსნა თბილისში. მასში შედის 16 ექსპერტი დედაქალაქში და 28 გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომელიც გადანაწილდა საქართველოს ტერიტორიაზე.

არჩევნების დღეს დაკვირვებას ახორციელებდა 401 დამკვირვებელი 45 ქვეყნიდან, რომელთაგან 274 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი წარგზავნილი იყო ეუთს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ. ასევე წარმოდგენილი იყო 65 პარლამენტარი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თანამშრომელი, 32 ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი, 11 ევროპარლამენტის და 19 ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი.

დამკვირვებბლებს სურთ მადლობა გადაუხადონ საქართველოს მთავრობას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის; ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თანამშრომლობისა და სააკრედიტაციო დოკუმენტებით უზრუნველყოფისათვის; და საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებებს მათი დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. დამკვირვებლებს ასევე სურთ გამოხატონ პატივისცემა საელჩოებისა და საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

- მატეო მეკაჩი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი თბილისში (+995 557 32 93 43);
- ტომას რაიმერი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის პრეს-სპიკერი (+48 609 522 266), ან სტივენ მარტინი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო მრჩეველი ვარშავაში (+48 22 5200 664);
- რობერტო მონტელა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დირექტორი (+43 699 104 286 81);
- ჩემავონ ჩაჰბაზიანი, ევროპის საბჭო, +995 557 956 642 ან +33 6 50 68 76 55, ელ-ფოსტა: chemavon.chahbazian@coe.int
- მარტა უდინა, ევროპარლამენტი, +995 577 392 350, ან +32 498 983 339, marta.udina@europarl.europa.eu;
- სვიტლანა სვიეტოვა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, +995 577 664 605 ან +32 477 639 477, ssvyetova@nato-pa.int,

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
ვერცხლის ქუჩა 1, თბილისი საქართველო
ტელ.: +99532 2240078
ფაქსი: +995 32 224 0076
ელ-ფოსტა: office@odihr.ge